დანართი №1

დამტკიცებულია
შ.პ.ს „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის“
დირექტორის 202-- წლის ---- ----------
№ ------- ბრძანებით

შ.პ.ს „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის“კარიერისა და პროფესიული ორიენტაციისა დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის
წესი

პრეამბულა

წინამდებარე წესი შემუშავებულია 2018 წლის 20 სექტემბრის საქართველოს კანონის „პროფესიული განათლების შესახებ“ და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების საფუძველზე და განსაზღვრავს ფორმალური განათლების ფარგლებში პროფესიული განათლების მომხმარებლის კარიერული მხარდაჭერისა და პროფორიენტაციის ღონისძიებების განხორციელებისა და საკონსულტაციო მომსახურების გაწევის საკითხებს.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. აღნიშნული წესი გულისხმობს ფორმალური განათლების ფარგლებში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის ღონისძიებათა ფართო სპექტრს, რომელიც პირს ეხმარება პირს ფორმალური განათლების მიღების ნებისმიერ ეტაპზე განსაზღვროს საკუთარი შესაძლებლობა, კომპეტენცია და ინტერესი განათლებასთან და პროფესის არჩევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად და მართოს საკუთარი კარიერა.
2. კარიერის დაგეგმვა უნდა დაეხმაროს პირს, გააკეთოს სწორი არჩევანი განათლების მიღებისა და დასაქმებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. კარიერის დაგეგმვის პროცესი გათვალისწინებული უნდა იყოს თითოეული პროფესიული განათლების მომხმარებლის ინდივიდუალურ მდგომარეობა - ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ შესაძლებლობები, ინტერესები, მოტივაცია და სხვა გარემოებები ასევე უნდა ითვალისწინებდეს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და იმ საგანმანათლებლო შესაძლებლობებს, რომელთა მეშვეობით მომხმარებელი იძენს შრომის ბაზრისათვის საჭირო ცოდნას და უნარ-ჩვევებს.
3. კარიერის დაგეგმვა არის პროცესი, რომელიც ხელს უნდა უწყობდეს პროფესიული განათლების მომხმარებლს შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც მას სჭირდება სწორი პროფესიული არჩევანის გასაკეთებლად და გადაწყვეტილებების მისაღებად შემდგომში წარმატებული თვითრეალიზების მიზნით.

მუხლი 2. ტერმინები და ტერმინთა განმარტება.

წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) შ.პ.ს „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი“ (შემდგომში - **„კოლეჯი“**);

ბ) შ.პ.ს „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის“ დირექტორი - (შემდგომში - **„დირექტორი“**);

გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი - (შემდგომში **„მასწავლებელი“**) პირი, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს სწავლებას;

დ) პროფესიული საგანმანათლებლო – (შემდგომში **„პროგრამა“**) ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად შ.პ.ს „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში“ შემუშავებული და დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

ე) კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად შ.პ.ს „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში“ ჩარიცხული პროფესიული სტუდენტი - (შემდგომში - **„სტუდენტი“**);

ვ) პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამა – (შემდგომში **„მოკლევადიანი პროგრამა“**);

ზ) კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად შ.პ.ს „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში“ ჩარიცხული მსმენელი - (შემდგომში - **„მსმენელი“**);

თ) ფორმალური განათლების ფარგლებში პროფესიული განათლების მომხმარებელი - (შემდგომში - **„დაინტერესებულ პირი“**).

ი) პროფორიენტაციის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტური მხარდაჭერის მენეჯრი - (შემდგომში - **„პროფოროენტაციის მენეჯერი“**).

მუხლი 3. კარიერის დაგეგმვის მიზანი

3. კარიერის დაგეგმვის სერვისის მიზანია დაეხმაროს პირს:

3.1. საკუთარი პიროვნული მახასიათებლების, მიდრეკილებების, ინტერესების, შესაძლებლობების, ღირებულებების და შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და განვითარების პერსპექტივების გათვლისწინებით, აირჩიოს ან შეცვალოს პროფესია;

3.2. განსაზღვროს საკუთარი პროფესიული საჭიროებები;

3.3. მოძებნოს პროფესიული საჭიროებების დაკმაყოფილების საუკეთესო საშუალება.

მუხლი 4. სამიზნე ჯგუფები

4. სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ:

4.1. სამუშაოს მაძიებლები (ნებისმიერი პიროვნება, ასაკის, კვალიფიკაციისა და გამოცდილების განურჩევლად, რომელიც ეძებს ან იცვლის სამუშაოს);

4.2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეები;

4.3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები;

4.4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტი/მსმენელი;

4.5. დასაქმებული პირები, რომელთაც სურთ სამუშაოს/კარიერის შეცვლა;

4.6. განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები (შშმპ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები;

4.7. სხვა (ნებისმიერი პირი, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში არ ჯდება);

მუხლი 5. პროფორიენტაციის მენეჯერი და მისი ფუნქცია/მოვალეობები

5. დაინტერესებული პირის პროფორიენტაციასა და კონსულტირებას კოლეჯში ახორციელებს პროფორიენტაციის მენეჯერი;

5.1. პროფორიენტაციის ფარგლებში, პროფორიენტაციის მენეჯერი, ახორციელებს დაინტერესებულ პირთა ინფორმირებას პროგრამების და მოკლევადიანი პროგრამების შესახებ და უწევს ყველა დაინტერესებულ პირს კონსულტაციას სპეციალობის არჩევისას, აორგანიზებს შეხვედრებს სამიზნე ჯგუფებთან და სხვა დაინტერესებულ პირთან;

5.2. <u>პროფორიენტაციის მენეჯერი უზრუნველყოფს:</u>

ა) დაინტერესებული პირის ინფორმირებას კოლეჯში არსებული პროგრამების და მოკლევადიანი პროგრამების შესახებ, ასევე პროგრამების და მოკლევადიანი პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების და ჩარიცხვის წინაპირობების შესახებ;

ბ) დაინტერესებულ პირს აწვდის ინფორმაციას პროგრამაზე და მოკლევადიან პროგრამებზე რეგისტრაციისა და ჩარიცხვის პროცედურების შესახებ;

გ) დაინტერესებულ პირს, მოთხოვნის შემთხვევაში, აწვდის ინფორმაციას პრაქტიკის ობიექტების და პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ. ასევე, უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურის დათვალიერებას, ინფორმაციის მიწოდებას დამხმარე სერვისებისა და არასასწავლო აქტივობების შესახებ;

დ) უზრუნველყოფს პრაქტიკების ობიექტების ინფრასტრუქტურის დათვალიერებას და წერს დასკვნას მათი სტანდარტებთან თავსებადობის მიზნით;

ე) უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა რეესტრის წარმოებას და სტუდენტთა/მსმენელთა დასაქმებაზე ზრუნვას;

ვ) უზრუნველყოფს ურთიერთთანამშორმლობის მემორანდუმის/ხელშეკრულების გაფორმებას სრულფასოვანი საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული პროექტის ან/და გაცნობითი პრაქტიკის გავლის მიზნით;

ზ) უზრუნველყოფს კონტიგენტის მოზიდვასა და მათ სწორ პროფესიულ ორიენტაციას;

თ) მონაწილეობს კოლეჯის საქმიანობის რეკლამირებაში სტუდენტის/მსმენელის და დამსაქმებლის მოზიდვის მიზნით;

ი) კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევას;

კ) მონაწილეობს მასმედიის წარმომადგენლებთან/სოცქსელებთან კოლეჯის შესახებ რეკლამების, სიუჟეტების და საჭირო პუბლიკაცია/ინფორმაციების განთავსება-გამოქვეყნებაში;

ლ) უზრუნველყოფს დამსაქმებელთა მუდმივად განახლებადი ბაზის შექმნას;

მ) აწარმოებს კურსდამთავრებულის და სტუდენტის/მსმენელის დასაქმების სტატისტიკას და უზრუნველყოფს სრულყოფილი მონაცემთა ბაზის შექმნასა და, მოთხოვნის შემთხვევაში, ანგარიშის კოლეჯის დირექტორისთვის მიწოდებას;

ნ) უზრუნველყოფს დასაქმების სააგენტოსთან მუდმივ კომუნიკაციას და მიღებული ინფორმაციის სტუდენტებისათვის/მსმენელებისათვის/კურსდამთავრებულებისათვის გაცნობას.

ო) უზრუნველყოფს ვაკანსიების მოძიებას, დამსაქმებლებთან გასაუბრებას და ინფორმაციის კურსდამთავრებულთათვის მიწოდებას;

პ) ოპერატიულად რეაგირებს დამსაქმებლების მხრიდან კადრებზე მოთხოვნის თითოეულ შემთხვევაზე, მათთვის სათანადო კადრის შერჩევის მიზნით, რა დროსაც ითვალისწინებს ადნინისტრაცის და მასწავლებელის რეკომენდაციასა და შეფასების შედეგებს.

ჟ) მოთხოვნის შესაბამისად შესრულებული საქმიანობის შესახებ ანგარიშს აწვდის სხვადასხვა ზედამხედველ/მაკონტროლებელ ორგანოს, კოლეჯის დირექტორსა და დირექტორს სასწავლო დარგში.

რ) 6 თვეში ერთხელ ატარებს სტუდენტთა კვლევას პროფესიული ორიენტაციის სერვისებთან დაკავშირებით №1 დანართის შესაბამისად და შედეგებს აცნობს კოლეჯის დირექტორს.
ს) წელიწადში ერთხელ ატარებს კურსდამთავრებულთა (არსებობის შემთხვევაში) კვლევას პროფესიული ოროენტაციის სერვისებთან დაკავშირებით №2 დანართის შესაბამისად და შედეგებს აცნობს კოლეჯის დირექტორს.
ტ) სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის გეგმავს სხვადასხვა ტიპის ინტელექტუალურ, სპორტულ, კულტურულ და გასართობ აქტივობებს და გეგმას წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

დანართი №1

კითხვარი განკუთვნილია შ.პ.ს „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის“ სტუდენტებისთვის

ძვირფასო სტუდენტებო, გამოკითხვა ანონიმურია, ამიტომ გთხოვთ, გულწრფელად უპასუხოთ ქვემოთ მოყვანილ კითხვებს. თქვენი პასუხი გამოყენებული იქნება პროფესიული ორიენტაციის სერვისების გასაუმჯობესებლად.

1. ხელმისაწვდომია თუ არა თქვენთვის განახლებული ინფორმაცია დასაქმების, სტაჟირების და კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ?
   ა) დიახ
   ბ) ნაწილობრივ
   გ) არა
2. გაქვთ თუ არა ინფორმაცია კოლეჯიდან დასაქმების/სტაჟირების ობიექტების და დასაქმების პირობების შესახებ?
   ა) დიახ
   ბ) არა
3. კოლეჯში იმართება თუ არა კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებები, საინფორმაციო შეხვედრები, დამსაქმებლებთან შეხვედრები, ვაკანსიების გაცნობა?
   ა) დიახ
   ბ) იშვიათად
   გ) არა
4. გქონდათ თუ არა კოლეჯიდან შემოთავაზებები სხვადასხვა ტიპის ინტელექტუალურ, სპორტულ, კულტურულ და გასართობ აქტივობებში მონაწილეობაზე?
   ა) დიახ
   ბ) იშვიათად
   გ) არა
5. როგორ შეაფასებთ კოლეჯის კარიერული მომსახურების ხარისხს?
   ა) ძალიან კარგი
   ბ) კარგი
   გ) საშუალო
   დ) არადამაკმაყოფილებელი
6. გაქვთ თუ არა მოსაზრებები კარიერული მხარდაჭერის სერვისების გაუმჯობესების მიზნით?

მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის!

დანართი №2

კითხვარი განკუთვნილია შ.პ.ს „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის“ კურსდამთავრებულებისათვის

ძვირფასო კურსდამთავრებულებო, გამოკითხვა ანონიმურია, ამიტომ გთხოვთ, გულწრფელად უპასუხოთ ქვემოთ მოყვანილ კითხვებს. თქვენი პასუხი გამოყენებული იქნება პროფესიული ორიენტაციის სერვისების გასაუმჯობესებლად.

1. ხართ თუა რა პროფესიით დასაქმებული და ამაში დაგეხმარათ თუ არა კოლეჯის კარიერული მხარდაჭერა?
   ა) დიახ
   ბ) ნაწილობრივ
   გ) არა
2. დაგეხმარათ თუ არა კოლეჯში კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებები, საინფორმაციო შეხვედრები, დამსაქმებლებთან შეხვედრები, ვაკანსიების და ვაკანსიების პირობების გაცნობა დასაქმებაში?
   ა) დიახ
   ბ) არა
3. ხართ თუ არა ამჟამად დასაქმებული კვალიფიკაციით, რომელიც კოლეჯში მოგენიჭათ?
   ა) დიახ
   ბ) არა
4. კმაყოფილი ხართ თუ არა კოლეჯში შეძენილი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით და იყენებთ თუ არა მათ სამუშაო პროცესში?
   ა) დიახ
   ბ) არა
   გ) სხვა ----------
7. გთხოვთ, აღწეროთ სირთულეები, რომლებსაც წააწყდით სამუშაოს მოძიების პროცესში?

   ---
8. სწავლის დასრულებიდან რამდენ ხანში დასაქმდით?

   ---
9. გთხოვთ, აღწეროთ სირთულეები, რომლებსაც წააწყდით სამუშაოს მოძიების პროცესში?

   ---
10. სამუშაოს შესრულებისას ყოფილა თუ არა დამსაქმებლისგან წამოყენებული ისეთი საკვალიფიკაციო/სპეციალური ცოდნის/უნარების მოთხოვნა, რაც კოლეჯში სწავლისას არ მიგიღიათ?

---

11. რამდენად შეესაბამება დასაქმების პირობების შესახებ თქვენი მოლოდინები რეალობას რომელსაც დასაქმების ადგილზე დაგხვდათ?

---

12. გაქვთ თუ არა მოსაზრებები კარიერული მხარდაჭერის სერვისების გაუმჯობესების მიზნით?

მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის!